„გურჯაანის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gurjaanitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურჯაანის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 52.6%, „ახალ საქართველოს“ 23.6%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 64.6%, „ქართულ ოცნებას“ 16.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ქვემო ქართლის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „პოლიტარტი“ და „სტუდია 4“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემაში განთავსდა სიუჟეტი პარტია „ცენტრისტების“ შესახებ და სიუჟეტი საზოგადოებრივი აზრის კვლევის თაობაზე, რომლის ფარგლებში კვალიფიციურ სუბიექტებს მეტწილად ჰქონდათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი აზრი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პოლიტარტი“ სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „სტუდია 4“ სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ცენტრისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, ქვემო ქართლის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ქვემო ქართლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://tvkvemokartli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური

რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქვემო ქართლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეკომპანია დია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 34.1%, „ქართულ ოცნებას“ 24.5%, „სახალხო მოძრაობა – სოციალისტურ საქართველოს“ 20.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“ - 40.1%, „ქართულ ოცნებას“ 23.8 %, „თავისუფალ დემოკრატებს“ 15.2%, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„დიას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „კვირის რეალობა“, „სტუდია რე“ და „დია–ლოგი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემაში განთავსდა სიუჟეტი „სახელმწიფო ხალხისთვის“ დაარსების თაობაზე, წინასაარჩევნო პერიოდის გადატანაზე („რესპუბლიკური“ პარტიის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების კომენტარებით), „კაბელების საქმის“ („თავისუფალი დემოკრატების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების კომენტარებით), „მერაბიშვილის საქმე“ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების კომენტარებით. ამასთან, გადაცემის წამყვანის განცხადებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უარი განაცხადა გადაცემაში მონაწილეობაზე). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „კვირის რეალობა“ სტუმრობდნენ „კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „მემარცხე ალიანსის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „მემარცხე ალიანსის“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დია–ლოგი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „დიას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„დიას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.dia.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„დიას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ყოველდღიურ ახალ ამბებში ძირითადად ეძლეოდათ მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეარხი 25“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[9] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 56.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 27.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში „ტელეარხი 25“–ის ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები არ განთავსებულა.

[9] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტელეარხ 25“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტელეარხ 25“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv25.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტელეარხი 25“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 56.9%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 25.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 48.4%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 13.5%, „ქართულ ოცნებას“ 12.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ოდიშის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „მრავალკუთხედი“ და „დიალოგი“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ოდიშის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ოდიშის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.odishi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ოდიშის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს ტელეკომპანია "I სტერეო"

საინფორმაციო გამოშვებებში[10] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 32.5% და „ქართულ ოცნებას“ -31%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 28.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

[10] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;

საანგარიშო პერიოდში „I სტერეოს“ ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები არ განთავსებულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „I სტერეოს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„I სტერეოს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.Istereo.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„I სტერეოს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „იმპერია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[11] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 65.8%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 12.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იმპერიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „დიალოგი“, რომელსაც პოლიტიკიური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური

[11] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებულ დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები ზემოაღნიშნული პარტიების წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმპერიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმპერიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://9arkhi.wordpress.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმპერიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „კოლხეთი 89“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[12] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 55.6%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 17.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„კოლხეთი 89“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „მრავალკუთხედი“ და „სტუდია რე“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი.

[12] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კოლხეთი 89“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კოლხეთი 89“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kolkhetitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კოლხეთი 89“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრი ჯიხა“

სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ კომპანიას საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს პოლიტიკური პარტიებიდან დრო დაუთმო მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 52.9%, „ქართული ოცნებას“ 23.5% და „თავისუფალ დემოკრატებს“ 23.5%.

„ჯიხას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „დისკუსია“, „მრავალკუთხედი“ და „სტუდია რე“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დისკუსია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ჯიხას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ჯიხას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.jikhatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ჯიხას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[13] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 70.9%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 18.6%, ხოლო „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.6% დაეთმო (იხ. დიაგრამა).

„მეცხრე ტალღის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „გენდერული ამბები“ და „სტუდია რე“. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ გადაცემებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეცხრე ტალღის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეცხრე ტალღას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.nwbc.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

[13] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„მეცხრე ტალღას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „სახელმწიფო ხალხისთვის“ დაუთმო.

„არგოს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „მრავალკუთხედი“ და „დისკუსია“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დისკუსია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „არგოს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„არგოს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.argotv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„არგოს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

შპს „ტელე–რადიო კომპანია ბორჯომი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ლეიბორისტებს“ (27.1%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (24.4%). „ქართულ ოცნებას“ 19.7%, „მემარცხენე ალიანსს“ 18.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ლეიბორისტებს“ - 40.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.9%, „ქართულ ოცნებას“ 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ ბორჯომის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „მრავალკუთხედი“, „სტუდია რე“ და „ინტერაქტივი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სტუდია რე“ სტუმრობდა „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „ინტერაქტივი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ ბორჯომის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ ბორჯომის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.borjomi.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ ბორჯომს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „სამაუწყებლო კომპანია ბოლნელი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 42.2%, „ქართულ ოცნებას“ 22.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 13.2%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.8%, ხოლო „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 10.5% (იხ. დიაგრამა).

„ბოლნელის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ბოლნელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ბოლნელის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.bolneli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ბოლნელის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[14] პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 60.9%, „ქართულ ოცნებას“ 15.6%, „რესპუბლიკელებს“ 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იმერვიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. წამყვანის განცხადებით, გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და შესაბამისად, გადაცემაში მოწვეულ იქნა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმერვიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმერვიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://www.imervizia.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმერვიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

[14] საუკეთესო დროს განთავსებული საინფორმაციო გამოშვება მეორდება საუკეთესო დროის მიღმაც;



შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[15] პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 51.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 17.4, „სახელმწიფო ხალხისთვის 14.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„თანამგზავრის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“ და „დასაბამიდან საფუძვლამდე“. გადაცემას „განსხვავებული აზრი“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. წამყვანის განცხადებით, გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და შესაბამისად, გადაცემაში მოწვეულ იქნა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „დასაბამიდან საფუძვლამდე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „თანამგზავრის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„თანამგზავრის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tanamgzavri.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

---

[15] საუკეთესო დროს განთავსებული საინფორმაციო გამოშვება მეორდება საუკეთესო დროის მიღმაც;

„თანამგზავრის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



შპს „მარნეული ტვ“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს პოლიტიკური პარტიებიდან დრო დაეთმო „ჩემ სამშობლოს“ - 29.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 26.5%, „ქართულ ოცნებას“ - 26% და „თავისუფალ დემოკრატებს“ - 17.8%.

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო მხოლოდ „ახალ საქართველოს“ - 91.6% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 8.4% დაეთმო (იხ. დიაგრამა).

„მარნეული ტვ“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. ამავე გადაცემაში განთავსდა სიუჟეტები „რუსთავი 2“–ის საქმე სასამართლოში (კომენტარი გააკეთა „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელმა), „მერაბიშვილის საქმე“ (მიმოხილული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მოსაზრებები), ახალი პოლიტიკური პარტიის „ცენტრისტების“ შექმნის შესახებ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მარნეული ტვ“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მარნეული ტვ“–ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.Marneulitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მარნეული ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 48.1%, „ქართულ ოცნებას“ 26.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“

13.2%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 15.1%, ხოლო „ცენტრისტებს“ 10.2% (იხ. დიაგრამა).

„ეგრისის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „სტუდია რე“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ეგრისის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ეგრისის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.egrisitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ეგრისის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია თბილისი“
(Music Box)

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.

„Music Box“-ის ეთერში საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები არ განთავსებულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, Music Box-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„Music Box“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.musicbox.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“

საინფორმაციო გამოშვებებში[16] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 59.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 16.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„აფხაზეთის ხმის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამა „ინტერვიუ ცნობილებთან“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „აფხაზეთის ხმის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„აფხაზეთის ხმის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.abkhaziafm.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„აფხაზეთის ხმის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



[16] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;

შპს „ხარისხის არხი“

(დრო)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[17] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 38.6%, „ქართულ ოცნებას“ 26.1%, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“ 12.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„დროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „დროული დიალოგი“, „პოლიტიკის დრო“, “ცოდნის ძალა“, „ბიზნესის დრო“, „ალტერნატივა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დროული დიალოგი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული დასის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „პოლიტიკის დრო“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) და „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ცოდნის ძალა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „ბიზნესის დრო“ სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ალტერნატივა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „დროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„დროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gch.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„დროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



[17] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

ააიპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“

(PKTV)

„PKTV“-ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების პროგრამა განთავსებული არ ყოფილა.

„PKTV“-ს სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, თუმცა მათ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „PKTV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„PKTV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.pktv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „კვირა ტვ“

საინფორმაციო გამოშვებებში[18] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 61.7%, „ახალ მემარჯვენეებს“ 23.7%, ხოლო „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 14.6% (იხ. დიაგრამა).

„კვირა ტვ“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „პრესკლუბი“ და „კვირის თემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პრესკლუბი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „კვირის თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. აღნიშნულ გადაცემაში შედგა დებატებიც.

„კვირა ტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებული (www.kviratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კვირა ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

---

[18] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;



შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“

სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა არც ახალი ამბების პროგრამა და არც საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები.

„ქართული არხს“ საჯაროდ გამოცხადებული (www.qartuliarkhi.ge) არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ქართული ტვ“

„ქართული ტვ“–ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა არც ახალი ამბების პროგრამა და არც საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები.

„ქართული ტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებული (www.qtv.com.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „საფერავი ტვ“

„საფერავი ტვ“–ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა არც ახალი ამბების პროგრამა და არც საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები.

„საფერავი ტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებული (www.saperavitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ჯგუფი–ახალი სტილი“
(მომავალი ტვ)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 32.1%, „ახალ მემარჯვენეებს 19.7%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 16.6%, „ახალ საქართველოს“ 10%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 28%, „ახალ მემარჯვენეებს 17%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 14.3%, „ლეიბორისტებს“ 14.2%, „ახალ საქართველოს“ 12.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მომავალი ტვ“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „თავისუფლების მოედანი“, „აქტუალური მოვლენა“ და „ღია სტუდია“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „თავისუფლების მოედანი“ სტუმრობდნენ „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და პარტია „ახალის“ (ერთხელ) ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ღია სტუდია“ სტუმრობდნენ „ლეიბორისტების“ (ხუთჯერ) ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „აქტუალური მოვლენა“ სტუმრობდა „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

„მომავალი ტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებული (www.momavalitv.com) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მომავალი ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“
(ახალი საქართველო)

საანგარიშო პერიოდში „ახალი საქართველოს“ სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების პროგრამა არ განთავსებულა.

„ახალი საქართველოს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „მირიან მირიანაშვილის საავტორო გადაცემა“, „ძალაუფლება ხალხს“, „PressReview“ და „საუბრები ეკონომიკაზე ოთარ ხუფენიასთან ერთად“. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში „მირიან მირიანაშვილის საავტორო გადაცემა“ წამყვანმა ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) თაობაზე. ამასთან გადაცემის წამყვანმა ისაუბრა „საქართველოს გადარჩენის მოძრაობაზე“, რომლის თავმჯდომარეც თავად არის და მოსახლეობას მოუწოდა მხარდაჭერისაკენ. ამავე პერიოდში გადაცემას „PressReview“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „საუბრები ეკონომიკაზე ოთარ ხუფენიასთან ერთად“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელი.

„ახალ საქართველოს“ საჯაროდ გამოცხადებული (ვებ–გვერდი არ გააჩნია) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ24“
(TV24)

TV24–მა საინფორმაციო გამოშვებებში[19] პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ დაუთმო.

TV24–ის მიერ კომისიაში წარმოდგენილი და საკუთარ ვებ–გვერდზე ატვირთული არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

TV24–ის მიერ საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები.

შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio“
(Tiflis TV)

Tiflis TV-ს საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო არ დაუთმია.

საანგარიშო პერიოდში Tiflis TV–ს სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, Tiflis TV–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

Tiflis TV–ს მიერ (www.tiflistv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „სიგულდა“
(TV Max)

TV Max–მა საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებიდან დრო დაუთმო მხოლოდ „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“.

საანგარიშო პერიოდში TV Max–ის სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

TV Max–ის მიერ კომისიაში წარმოდგენილი და საკუთარ ვებ–გვერდზე (www.tvmax.ge) ატვირთული არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

---

[19] TV24–ის მიერ კომისიაში 2016 წლის 24 ივნისს წარმოდგენილი წერილის (კომისიაში რეგისტრაციის N–6/6071–16) შესაბამისად, ირკვევა რომ მაუწყებლობა ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე ხორციელდება ხარვეზებით;

შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“
(სდასუ TV)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 22.3%, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ 14.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.5%, „მემარცხენე ალიანსს“ 11%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 29.3%, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ 15.4%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.8%, „მემარცხენე ალიანსს“ 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში „სდასუ TV“–ის სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

„სდასუ TV“–ს მიერ საჯაროდ არ არის გამოცხადებული (www.sdasu.edu.ge) და კომისიაში არ არის წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სდასუ TV“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სდასუ TV
ქართული ოცნება
29.3%
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის
14.9%
თავისუფალი დემოკრატები
11.8%
მემარცხენე ალიანსი
10.3%
ნაციონალური მოძრაობა
8.7%
ახალი საქართელო
8.9%
დ/კ ირაკლი შიხიაშვილი
6.7%
მომავალი საქართველო
5.7%
სახელმწიფო ხალხისთვის
3.8%
ახალი მემარჯვენეები
3.4%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა
3.3%
გირჩი
3.3%
მრეწველები
2.1%
სხვა
2.3%
0.0%
5.0%
10.0%
15.0%
20.0%
25.0%
30.0%
35.0%

<u>გამოვლენილი დარღვევები:</u>

– „ობიექტივის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა, რომლის წამყვანიც არის პოლიტიკური პარტია „კვარაცხელია–სოციალისტების“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და თავი შეიკავოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან პოლიტიკური პარტიის წევრის საზოგადოებრივ–პოლიტიკური, ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამებში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით მონაწილეობაზე;

– ეროვნული მაუწყებლებიდან „რუსთავი 2“–ის და „ტაბულას“ მიერ საჯაროდ არ გამოცხადებულა და კომისიაში წარმოდგენილი არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

– „რუსთავი 2“–ის და „ტვ პირველის“ ეთერში განთავსდა პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა შესაბამისი სურდოთარგმანის გარეშე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 83–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით, ხოლო 93–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 83-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ მე–9 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი ვალდებულებების დარღვევით განთავსების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ხოლო სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო;

კომისიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“–ს და შპს „ტელეკომპანია პირველს“ შეუდგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და გადააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

– გამოიკვეთა რიგი მაუწყებლებისა, რომელთა სამაუწყებლო ბადეში განთავსებული არ არის ახალი ამბების პროგრამები (შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“, შპს „საფერავი ტვ“, შპს „ქართული ტვ“, შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“, ააიპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა;

აღნიშნული მაუწყებლების მიმართ კომისიაში დაიწყება წარმოება ადმინისტრაციული პასუხიმგებლობის დაკისრების მიზნით.

– საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვის გარეშე გამოქვეყნება.

რიგი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება განხორციელდა შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების დაცვის გარეშე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
- კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;
- საველე კვლევის ჩატარების დრო;
- გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;
- რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;
- ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;
- იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;
- შერჩევის ზომა;
- ცდომილების ფარგლები;
- ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

– რიგი გაზეთების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არ ხორციელდება კომისიაში ყოველკვირეული ინფორმაციის წარმოდგენა.

აღნიშნული გაზეთებია: ხობის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხობის მოამბე“; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „რეგიონის ტრიბუნა“; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თვითმმართველობა“; ონის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ონი“; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“; ქარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი

„ქარელის მოამბე“; აბაშის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „აბაშის მაცნე“; ქუთაისის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „უქიმერიონი“; ხაშურის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხაშურის მოამბე“; სენაკის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „კოლხეთი“; სიღნაღის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სიღნაღი“; ტყიბულის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ტყიბული“; ყვარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ყვარელი“; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „არშლუისი“; გურჯაანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაცნე“; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - ააიპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ (გაზეთის სახელწოდება არ იქნა მოწოდებული); ახმეტის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბახტრიონი“; ლენტეხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სვანეთი“; გორის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გორის მაცნე“; მცხეთის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „მცხეთა“; ბოლნისის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბოლნისი“;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შასრულების მიზნით, კომისია თავად განახორციელებს ზემოაღნიშნული გაზეთების საკონტროლო შესყიდვებს და შეისწავლის მათ მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხს.

<u>რეკომენდაციები:</u>

– „ტაბულას“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „მძიმე კაცთან“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ პოლიტიკური პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „სახელმწიფო ხალხისათვის“ წარმომადგენლები.

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება;

– საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ყურადღებას ამახვილებს ტელეეთერით სიძულვილის ენის გამოყენების გახშირებულ შემთხვევებზე და მოუწოდებს მაუწყებლებს, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონაწილეებს დაიცვან საკანონმდებლო და ეთიკური ნორმები.

მედიათავისუფლების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სარედაქციო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის უფლება არ გააჩნია არც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და არც სასამართლოს, ამგვარი პრეროგატივა მხოლოდ თავად მაუწყებლის მიერ შექმნილ თვითრეგულირების

ორგანოს აქვს მინიჭებული. კომისიას მიაჩნია, რომ მოქმედი კანონმდებლობა მაუწყებლებს თავისუფლებასთან ერთად საზოგადოების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. შესაბამისად, მოუწოდებს მათ, ისევე როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს დაიცვან საკანონმდებლო და ეთიკური ნორმები, არ დაუშვან სიძულვილის ენის წახალისება, მიმდინარე მოვლენების გაშუქების დროს, (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში) იხელმძღვანელონ სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

– გამოიკვეთა რიგი მაუწყებლებისა, რომელთა ეთერშიც განთავსებული არ ყოფილა საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე კომისია მოუწოდებს მაუწყებლებს უზრუნველყონ თავიანთ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამების განთავსება.